№ 125
ოთხშაბათი, 15 ივნისი 1894

1877—1894

# ივერია

№ 125
ოთხშაბათი, 15 ივნისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**„ი ვ ე რ ი ა“**
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

## ი. ტერ-დავიდოვი,

რომელსაც **სწავლა დამთავრებული აქვს** პირველის ხარისხით („СВОБОДНЫЙ ХУДОЖНИКЪ“) რუსეთის საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების მოსკოვის კონსერვატორიაში, პროფესორ პ. ა. პაბსტის ხელმძღვანელობით ასწავლის ფორტოპიანოს, როგორც თავისთან, ისე მსურველის სახლში.
ა დ რ ე ს ი: ელისაბედის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 46.
(2—1373—1)

ტფილისი, 15 ივნისს

—

12 ამ თვეს იტალიელს ჯიოვანის მოუკლავს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კარნო.

უეჭველია განსვენებული პრეზიდენტი ისევ იმ ანარხისტთა მსხვერპლი უნდა იყოს, რომელთაც საფრანგეთი აურჩევიათ ამ უკანასკნელ დროს საზოგადოების ასაღელვებელ უმთავრესს ასპარეზად.

დეპეშაში თუმცა არ არის მოხსენებული, ახალგაზდა ჯიოვანი ანარხისტია თუ არა, მაგრამ წარმოუდგენელია საფრანგეთის ერის უპირველესისის კაცის მოკვლას სხვა რამ ხასიათი ჰქონდეს, თუ არა ანარხისტთა ის გამოკვლეული აზრი, რომ ხალხი შევაშინოთ, თავს ზარი დავსცეთ და ამ სახით შეუძლებელად გავხადოთ ახლანდელ ეკონომიურ წესის არსებობა. „რაც უარესი იქნება, ისა სჯობიაო“, ამბობენ ამ დასის მომხრენი, და სწორედ ამ განზრახვით უნდა იყოს ჩადენილი ეს შემაძრწუნებელი მკვლელობა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა.

მაგრამ, იქნება-კი ვითომ უ მ ჯ ო ბ ე ს ი თვით იმ ანარხისტთა, მოძღვრებისათვის, რომლისთვისაც ეს გუნდი არავითარს საშუალებას არ ერიდება, ოღონდ-კი დააფრთხოს და შეაზაროს საზოგადოება?

არა გვგონია, რომ შეურაცხყოფილმა და აღელვებულმა საფრანგეთის ერმა, წყევისა, ზიზღისა და გამძვინებულის დევნის გარდა, სხვა რამ გრძნობა წაიმძღვაროს წინ ამ დასის მიმართ. ამ გვარი შედეგი მოსალოდნელია მით უფრო, რომ საფრანგეთის ერის ცხოვრებაში, მის ეკონომიურ წეს-წყობილებაში რესპუბლიკის პრეზიდენტი იმდენადვეა დამნაშავეა რამდენადაც თითოეული ფრანგი. თუ პრეზიდენტი ღირსია სიკვდილისა, მაშინ მთელი საფრანგეთიც ამ გვარისავე სასჯელის ღირსი უნდა იყოს, რადგანაც კარნო მხოლოდ ერთი ნაწილი იყო იმ შენობისა, რომელსაც ეწოდება საფრანგეთის რესპუბლიკა.

მაგრამ, თუ ხალხი აღარ იქნება, თუ ყოველი კაცი სიკვდილის ღირსია, მაშინ ვიღასთვის არის ნეტავი საჭირო, ეს საკვირველი მოძღვრება ანარხიზმისა?!

გასაჭირი დრო დადგა! ვერც დიდი ავტორიტეტი, ვერც მთელის ერისაგან დაჯილდოვებული და ღირსად ცნობილი მოღვაწე ვერ ისვენებს: არავინ იცის—როდის და სად ააფეთქებენ, სად დასცემენ ხანჯალს და დამბაჩას!

ამ 30 წლის განმავლობაში, ეს მესამე მაგალითია რესპუბლიკის პრეზიდენტის მოკვლისა.

ორი პრეზიდენტი ამერიკაში იქნა მოკლული და მესამეც განსვენებული კარნოა, რომელსაც ასე სამწუხაროდ მოუსპო ჯიოვანის ხანჯალმა სიცოცხლე.

რესპუბლიკის წინააღმდეგნი რასაკვირველია ხელზედ დაიხვევენ ამ მაგალითებს და იმის მტკიცებას დაიწყებენ, რომ ახლანდელი წეს-წყობილება საფრანგეთისა უვარგისი არისო.

მაგრამ რესპუბლიკის მთავრობა, უეჭველია, სახელოვანად გამოვა ამ განსაცდელისაგან და მოახერხებს ის წესი დაიცვას, რომელიც საფრანგეთის ერმა მას ჩააბარა.

მეველე

## დეპეშა

13 ივნისი

**ლიონი***). შემდეგ ბანკეტისა, რომელიც გამართული იყო ვაჭრობის სასახლეში და რომელიც გათავდა საღამოს 9 საათსა და 10 წუთზედ, ვიღაც უცნობი ყმაწვილი კაცი მივარდა პრეზიდენტ კარნოს ეტლს და შეხტა ეტლის ფეხის დასადგმელზედ. ლანდო მაშინვე გაჩერდა და კარნო ყველას თვალწინ გაფითრებული მიესვენა ეტლის ზურგ-მისაყუდებელს. ამ ამბის მნახველნი მივარდნენ ბოროტ-მომქმედს, რომელიც მუშტის დარტყმით ძირს გადმოაგდო პრეზიდენტის გვერდზედ მჯდარმა რონის დეპარტამენტის პრეფექტმა; ხალხს უნდოდა შუაზედ გაეგლიჯა დამნაშავე. გენერალმა ბორიუსმა, პრეფექტმა და მერმა ძლივ-ძლივობისას გადმოიყვანეს ეტლიდამ კარნო და შეიყვანეს ოთახში, საცა მკურნალი ოლიე შეუდგა მაშინვე წყლულის ვითარების გამოკვლევას. კარნომ იგრძნო-რა შეხება ფოლადისა გარკვევით უთხრა მკურნალს: „რა ამბავია, რომ ასეთი ტკივილი მომაყენეთ? ექიმებმა მაინც კარგად შეუხვიეს ჭრილობა. კარნო გარდაიცვალა ნაშუაღამევს, 12 სა-

*) იხილე მეოთხე გვერდი.

## ფელეტონი

**ძველი ჭეშმარიტება.**

(ქ-ნის სავინის წარმოდგენების გამო)

(დასასრული*)

დღეს, როდესაც ეგრე გამწვავებულია ბრძოლა საეკონომიო ასპარეზზე, როდესაც ამ ბრძოლის გამო აუარებელი მუშა ხალხი ულუკმაპუროდ რჩება, ევროპაში მაინც მილიონებს ხარჯვენ თეატრისათვის. ევროპის დიდებული ქალაქები, თითქო ერთმანეთს ეჯიბრებიანო, საარაკოდ რთვენ თეატრებს, რეპერტუარის და არტისტების გასაუმჯობესებლად თავს არ იზოგვენ. კიდეც მოიტანა ნაყოფი ევროპიელების შრომამ: მათის თეატრების სიდიადეს და მშვენიერებას განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი; ევროპამ მისცა ქვეყნიერებას ისეთი დიდებული დრამატიული მოთამაშე კაცები და ქალები, როგორნიც არიან სალვინი, პოსსარტი, ბარნაი, როსსი, მუნე-სიულლი, სარრა ბერნარი, ელეონორა დუზე და სხ... ეს ის მოთამაშენი არიან ჩვენის დროისა, რომელთაც შეიძლეს განხორციელება და ნათლად წარმოდგენა შექსპირის, სოფოკლის, რასინის, გიოტეს და შილლერის უკვდავის ტიპებისა. ვინ იცის რამდენი ღვაწლი მიუძღვის ამ კაცებს კაცობრიობისადმი. ვერაფერი კრიტიკოსი ვერ წარმოგვიდგენს, ვერ განგვიმარტავს დრამატიულს ნაწარმოებს ისე, როგორც არტისტი. სცენა ის სარბიელია არტისტისთვის, რომელზედაც იგი ეჩვენება საზოგადოებას დრამატიულ ტიპის ამხსნელად, დამხატველად. გარრიკი გენიოსი არტისტი იყო, რომელსაც კარგად ესმოდა სულის მოძრაობა შექსპირის მსოფლიო ტიპებისა და მათის ნამდვილის დასურათებით თანამედროვე საზოგადოება განცვიფრებაში მოჰყავდა. დიდებულნი ისტორიკოსნი მსოფლიო ლიტერატურისა, როდესაც ჰამლეტის, მაკბეტის, ოტელლოს და ლირის ტიპს შეეხებიან, თავიანთ ნამდვილი შეხედულობის დასასაბუთებლად ხშირად იტყვიან: გენიოსს გარრიკსაც ეგ ტიპები ჩვენსავით ესმოდა და წარმოდგენილი ჰქონდაო.

ევროპამ მოგვცა-მეთქი დიდებული არტისტები. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მისთვის რომ ევროპამ იცის დაფასება ნიჭისა და შრომისა, იცის წაქეზება და პატივისცემა არტისტებისა. რად უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამგვარს მადლიანს ნიადაგზე ყოველივე კეთილი აღმოცენდეს. ყველამ ვიცით, რომ დღემდის რუსეთის ნიჭიერი არტისტები, თავიანთ სამშობლოში არად მიჩნეულნი, ან სრულიად შეუნიშნავნი, მიეშურებიან ევროპის ქალაქებში სახელის მოსახვეჭად. იქ აღტაცებით ეგებებიან მათ და ქება-დიდებას უძღვნიან. ბევრი არის დღესაც ევროპაში მისთანა გამოჩენილი არტისტები რუსის ჩამომავლობისა, რომელთაც რუსეთში სრულიადაც არ იცნობენ.

მერე რა შედეგი აქვს ამ გარემოებას რუსეთისთვის?—ის, რომ მას ძალიან ცოტა ჰყავს გამოჩენილი მოთამაშეები; ევროპის დიდებულ მოთამაშეებთან შესადარებელი-კი ერთიც არ მოეძევა. ჰყავდა უწინ რუსეთს შჩეპკინი და მოჩალოვი, დღეს კი იმათთან შესადარებელიც არავინ არის. მართალია, ბევრს რიგიანს მოთამაშეებს ჰპოვებთ რუსეთის სატახტო ქალაქებში და პროვინციაშიაც, მისთანა მოთამაშეებს, რომელნიც ნიჭიერად და შეგნებულად თამაშობენ ზოგიერთს როლებს რუსულის ორიგინალურის პიესებისას, მაგრამ რამოდენადაც ძლიერნი არიან ეს მოთამაშეები რუსულ ტიპების დახატვაში, იმოდენად სუსტნი და გაუგებარნი ხდებიან, როდესაც კლასიკურ როლებს ასრულებენ. ბ-ნ იუჟინით (ჩვენებური სუმბათაშვილია) მოსწონს დღეს რუსეთს თავი. მხოლოდ ეს ბედავს ხანდისხან კლასიკურ როლებში გამოსვლას და კიდეც რიგიანად ასრულებს ზოგიერთს მათგანს, მაგრამ არც ამას შეუძლია დაიჩემოს ისეთი შემოქმედობითი ნიჭი, როგორსაც იჩენენ წარჩინებული მოთამაშეები ევროპის სცენისა. ბ-ნ იუჟინთან ერთად გამოჩენილ არტისტებთ შორის რუსეთში ახსენებენ ლენსკის და მოსკოვის კორშის თეატრის კომიკოსს დავიდოვს. მოთამაშე ქალებთა შორის უპირველესი ადგილი უჭირავთ დღეს რუსეთში ქ-ნთ ფედოტოვისას, ერმოლოვისას და სავინისას, რომელიც ამ ჟამად მართავს წარმოდგენებს ჩვენს ქალაქში. ბევრჯერ გვინახავს ყველა ეს მოთამაშეები რუსეთის სცენებზე და მათს თამაშს ყოველთვის დიდი ესტეტიური კმაყოფილება მოუგვრია ჩვენთვის.

ყველგან, სადაც გონება-განვითარებული საზოგადოებაა, აღიარებულია ლიტერატურაში რეალიზმი, ანუ მართლად დახატვა ნამდვილის ცხოვრებისა და ტიპისა. ეგრედ წოდებული ეფექტი და საუცხოვოდ მოკაზმული სიცრუვე არაფრად ეპაშნიკება ესტეტიურად განვითარებულს საზოგადოებას. განვითარებული საზოგადოება დრამატიულ არტისტიდგანაც იმას თხოულობს, რომ ის ეფექტებს არ მისდევდეს სცენაზე, რომ ის წარმოგვიდგენდეს ადამიანს, ტიპს ნამდვილად იმ სახით, რომელსაც მას აძლევს ცხოვრება. ამ უბრალო და მართლად წარმოდგენაში მდგომარეობს სიდიადე მოთამაშისა. ამნაირი შეხედულობა აქვთ შეთვისებული სცენაზე თამაშის შესახებ ყველა იმ დიდებულს მოთამაშეებს ევროპისას, რომელნიც ჩვენ ზევით დავასახელეთ. ტყუილ-უბრალოდ სცენაზე ყვირილით და თვალის-მომჭრელ ეფექტებით მოხვეჭილი სახელი არტისტისთვის დღეს საიმედო არ არის და ვაი მისი ბრალი, ვინც ამ წესს მისდევს...

ქ-ნის სავინის ღირსებაც იმაშია, რომ ის ძალიან რეალურად ასრულებს როლებს. როდესაც ამ ნიჭიერის ქალის თამაშს უყურებთ, სრულიად გავიწყდებათ, რომ თქვენს წინაშე სცენაა და არა ნამდვილი ცხოვრების ასპარეზი. ყოველი მიხვრა-მოხვრა ამ ქალისა თავისუფალია, ყოველი მისი სიტყვა და სახის მოძრაობა იმოდენად შეთანხმებულია სულის მოძრაობასთან, რომ გგონია, თუ მართლა გრძნობს ეგ ქალი ტანჯვას, ან სიხარულს იმ პირ ისას, რომელსაც არდგენს. როდესაც ამ წერტილამდე ამაღლდება მოთამაშე, ის მაშინ თაყვანისცემის ღირსია... ვინ იცის, გარდა ნიჭისა რამდენი წლის შრომა და მეცადინეობა დასჭირდებოდა ქ-ნს სავინისას, რომ კარგად შეეგნო მარგარიტა გოტიეს როლი. ეგ როლი ერთობ რთული როლია; მარგარიტა გოტიე არის პირდაპირი ნაყოფი პარიზის ზღვასავით მღელვარე ცხოვრებისა, ეგ არის ნაყოფი და წარმომადგენელი მთელის საზოგადოებისა და, მაშასადამე, მისგან აღძრული საზოგადოებრივი და პსიხოლოგიური ინტერესი დიდი უნდა იყოს. მარგარიტა და ნანასთანა ტიპების შექმნა შეეძლო მხოლოდ განათლებულის საფრანგეთის ცხოვრებას და ვისაც ეგ ტიპები ეინტერესება, მან უსათუოდ ის ცხოვრება და ის წრე უნდა ზედ-მიწევნით გამოიკვლიოს და

*) იხ.) „ივერია“, № 123.

ათსა და 45 წუთზედ. მკვლელი პრეზიდენტის კარნოსი იტალიელია ჯიოვანნი ჩეზარიო—სანტო, 22 წლისა და ძლივ ლაპარაკობს ფრანგულად. 6 თვის წინად დაბინავებულა სეტტას და იქიდამ ლიონს მოსულა. დღეს მინისტრები წავიდნენ ლიონიდამ ნაშუალამევის 1-ს საათზედ. ლიონში გუშინ დიდი მანიფესტაცია იყო, ხალხი ჰყვიროდა: „სიკვდილი კაცის მკვლელებსაო! მანიფესტანტებმა აიკლეს იტალიელების ყავახანები. ზოგიერთნი ჰყვიროდნენ: „არგვინდა უცხოელნიო!.“ ბრბო ხალხისა გაემართა იტალიის საელჩოსაკენ, მაგრამ პოლიციამ შეაყენა.

**პარიზი.** პრეზიდენტები სენატისა, დეპუტატთა პალატისი და აქ მყოფი მინესტრები შეიკრიბნენ საბჭოდ შინაგან საქმეთა სამინისტროში ნაშუალამევს, 2 საათზედ. გენერალმა მერსიემ გამოაცხადა, რომ დეპეშით მივწერე მობრძანება ყველა კორპუსებს, რათა ჯარები ყაზარმებს არ მოშორდნენ. სენატის პრეზიდენტმა გარდასწყვიტა, რომ ორივე პალატა უნდა შეიკრიბოს ოთხშაფათს, 27 ივნისს ნაშუადღევის 1 საათზედ რესპუბლიკის პრეზიდენტის ასარჩევადაო.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს-ძე წაბრძანდნენ კურსკ-ხარკოვ-აზოვის რკინის გზის სადგურ ბორკზედ. მის უდიდებულესობას თან ახლავან: სამხედრო მინისტრი, გენერალ ადიუტანტები რიხტერი და ჩერვინი და ლეიბ-ხირურგი გირში.

იუსტიციის მინისტრი ორენბურგსა და უფას წავიდა სამოსამართლო დაწესებულებათა შემოსაღებად იქ.

# ახალი ამბავი

⁂ წრეულს პირველად დაამთავრეს სწავლა მესამე კლასიკურ გიმნაზიაში. სულ 11 ყმაწვილმა დაამთავრა სწავლა, რომელთა შორის სომეხი—4, ქართველი—4, რუსი—2, ებრაელი—1. ქართველნი არიან: ახუმოვი ნიკოლოოზ 19 წლ., ბურჯანაძე გიორგი, 21 წლ., ყანჩაველი ალექსანდრე 19 წლ., ფორაქაშვილი იოსებ 21 წლ. გიორგი ბურჯანაძემ ოქროს მედალი მიიღო.

⁂ პირველ საქალებო გიმნაზიაში დაამთავრა სწავლა IX კლას. 52 მოწაფემ. ამათში 27 რუსია, ქართველი—8 სომეხი—9, ებრაელი—2 და სხვ. ეროვნებისანი—9. ქართველები არიან: ჯორჯაძის ასული ოლგა, ფორაქაშვილის ასული ნინო, შიუკაშვილის ასული ელენე, ბაქრაძის ასული ნინო, გოგიეშვილის ასული თამარ, ხაინდრავას ასული ნინო, ჯომარდიძის ასული თამარი, სარუხანაშვილის ასული ნინო.

გარდა ამისა VII კლას. დაამთავრა სწავლა 24 რუსმა, ქართველმა—6, სომეხმა—16, ებრაელმა—3 და სხვ. ეროვნებისამ—6. ქართველნი არიან: ნინო ბახუტაშვილის ასული, სოფიო ისაკაშვილის ასული, ოლგა წიკლაურის ასული, მარიამ ბაქრაძის ასული, ოლგა სულხანიშვილის ასული, და ჩელიშვილის ასული ელენე.

⁂ 12 ივნისს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიის მრევლთა კრებაზედ ამ ეკლესიის მნათედ ხელ-მეორედ ამორჩეული იქმნა ე. ხელაძე.

⁂ განჯის გუბერნატორი გენერალ-ლეიტანტი თ. ა. დ. ნაკაშიძე გუშინ ტფილისში ჩამოვიდა.

⁂ გუშინ ტფილისიდგან ფრანგთა კოლონიამ პარიზს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნეს განსვენებულ საფრანგეთის პრეზიდენტის სადი-კარნოს სახლობას.

⁂ გუშინ-წინ ტფილისის მაზრის უფროსის კანცელარიაში მივიდა ქალაქში მცხოვრებელი ქვრივი ეკატერინე ბეგიჯანოვისა და გამოაცხადა, რომ ამ თვის 5-ს რიცხვს, წმ. ბარბარეს ეკკლესიის ახლოს მინდორში ვნახე პერანგის ამარა, ჩვრებში გახვეული ბავშვი და თანაც შემდეგი ქართულად დაწერილი ბარათი: „ბავშვი მართლ-მადიდებელ მშობლებისაა, დაბადებულია თორმეტის დღის წინად და მოუნათლავიაო“.

ამის შემდეგ იქავე მისულან სიღნაღელი მაკარა შაიშმელოვი და ცოლი ამისი ნატალია რომელთაც გამოაცხადეს თურმე, ყმაწვილს ჩვენ ავიყვანთ შვილად, მოვნათლავთ მართლ-მადიდებელთა სჯულის წესით და გავზრდით ჩვენის ხარჯითაო, რადგან უშვილონი ვართო.

მაზრის უფროსის განკარგულებით, ცოლ-ქმარს შაიშმელოვებს ხელ-წერილი ჩამოართვეს და ბავშვი გადასცეს.

⁂ დადგა თბილი დღეები და გაჩნდა საქონლის ავადმყოფობა. ყველაზედ უფრო მოდებულია თურქული. თურმე სოფელი არ არის, რომ თურქულით ავად არ იყოს საქონელი, ზოგან-კი როგორც ავჭალაში, დილომში, გლდანში, ახალ-სოფელში და სხვ. თითქმის საქონელი არ არის, რომ თურქულით ავად არ იყოს და ყოველივე მუშაობა საქონლითა შეჩერებული აქვს გლეხობას.

დუშეთის მაზრაში-კი სოფ. ახატანში, დავათში და ჯიგაურში საქონლის ჭირიც გაჩენილა.

⁂ ამ დღეებში ჩვენს ქალაქში ჩამოვიდნენ ოდესის უნივერსიტეტის პროფესორები ბ-ნნი კოვალევსკი და მელიქიშვილი. როგორც შევიტყეთ, ესენი დღეს კახეთს მიდიან, სადაც იქაური ვენახები უნდა დაათვალიერონ.

⁂ ყარაიაზში მტკვარს გამოურიყავს თორმეტ-ცამეტის წლის ყმაწვილის სრულებით გახრწნილი და ტიტველი გვამი. გვამი ისე წაუხდენია წყალს, რომ ცნობა შეუძლებელიღაა და დროებით იქვე მიწისათვის მიუბარებიათ.

⁂ ბ-ნის ალექსანდრე სოლომონის ძის რონინაშვილისაგან მივიღეთ რუსთაველის ძეგლის ფონდისათვის 10 მან. ამ ფონდისა გვქონდა 1017 მან. და 92 კაპ. ამითი შესდგა 1027 მან. და 92 კაპ.

⁂ კახეთიდამ სწერენ გაზ. „Кавказъ“-ს, რომ წელს ზოგიერთ ბერძენ ვაჭარს შეუტყუებია ხალხისათვის საეჭვო ღირსების აბრეშუმის თესლი და დაურწმუნებია, რომ ეგ თესლი ტფილისის სააბრეშუმო სადგურისაგან შევიძინეთო. უნდა ვსთქვათ, რომ წელს ძალიან დიდი ყურადღება მიაქციეს კახეთის მემამულეებმა აბრეშუმის მოყვანას. უფრო ბევრი მოჰყავთ ჭია თ. ჩოლოყაშვილის მამულში, ჭაურში, საცა ყაზახოვებს გაუჩენიათ ჭია. ამ ყაზახოვებს ქალაქში უსწავლიათ ჭიის გონივრული მოვლა სააბრეშუმო სადგურზედ. ეხლა გამოუყვანიათ 80 მისხალის თესლის ჭია და უნდათ კარგის ჯიშის პარკები გაიჩინონ და ცელულიარული გრენა ამზადონ. არ შევგვიძლიან სიამოვნებით არ მივეგებოთ ამისთანა კარგს საქმეს.

⁂ 12 ივნისს ხუციშვილმა და გოგოლაურმა სატივოს ქუჩაზედ შეიპყრეს სამსონ ლიმანი, რომელსაც შარმაზან ალამოვის და ტატო გოგლაძისაგან ოთხი ცული მოეპარა და მიჰქონდა.

## ქალაქის საბჭო

13 ივნისი

ორშაბათს, 13 ივნის, ქალაქის საბჭომ განიხილა რამდენიმე საგანი.

პირველში საბჭომ გადასწყვიტა, 707 მან. მეტი ჯამაგირი მისცეს ობოლთა სასამართლოს მდივნად ნამყოფს ი. კ. ელიმირზოვს.

შემდეგ საბჭომ განიხილა წინადადება ხმოსნის ა. მ. არღუთინსკისა იმის შესახებ, რომ ჯეროვანი ზედამხედველობა იქმნას ქალაქის მხრივ დაწესებული ტფილისის ცხენის რკინის გზებზედ. საბჭომ დაადგინა, კომისია ამოვარჩიოთ სამუდამოდ და იმას მივანდოთ ცხენის რკინის გზების თვალ-ყურის გდება. ამ კომისიის საკუთარი თავმჯდომარე უნდა ჰყავდეს და იმათ განაგონ ეს საქმე. ჯერ-ჯერობით ამ კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს დელეგატის ძველის წესდებით, ვიდრე ახალს წესდებას შეადგენდნენ.

დიდი ლაპარაკი გამოიწვია ქალაქის გამგეობის მოხსენებამ იმის შესახებ, რომ საუფლისწულო უწყებას, იმ მიწას გარდა, რომელიც მივყიდეთ, ნაძალადევის უბანში, კიდევ სხვა მიწაც მივყიდოთ, რადგან მიმატებას თხოულობენო. ქალაქის მოურავი პ. ა. იზმაილოვი ამტკიცებდა, ჩვენთვის დიდად სასარგებლოა, რომ ეს მიწები საუფლისწულო უწყებას მივყიდოთ, რადგან ეს უწყება იქ ქარხნებს დააარსებს, მრეწველობა იმატებს ტფილისში, ქალაქის მამულების ფასი აიწევს და ყოველივე ეს-კი ჩვენთვის სასურველიაო.

ხმოსანთა უმეტესმა ნაწილმა და, მათ შორის უფრო ა. მ. არღუთინსკიმ, ექიმმა ხუდადოვმა, შახაზიზოვმა და სხვებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ თუ გაყიდვაა მაგ მიწებისა, ნა-

---

შეისწავლოს, საიდგანაც ეგ ტიპები გამოვიდნენ. უამისოდ ამ ტიპების გაგება ყოვლად შეუძლებელია, და, თუ როლი არ ესმის მოთამაშეს, როგორი უნდა იქმნეს მისი თამაში!

ქ-ნმა სავინისამ დაგვიმტკიცა სწორედ წარსულ კვირას, რომ ის ტყვილად არ ჩემობს მარგარიტას როლის გაგებას, დაგვიმტკიცა, რომ მას აქვს უფლება თამამად ეჩვენოს საზოგადოებას იმ გვარს პიესაში, როგორიც არის „La dame aux camelias“. ეს დიუმა-შვილის პიესა საზოგადოდ არაფერი შესანიშნავია, როგორც დრამატიული ნაწარმოები, მაგრამ გამოჩენილს მოთამაშე ქალებს ჩვეულებად აქვთ ამ პიესაში გამოსვლა, რადგან მარგარიტას როლი ითხოვს დიდს ნიჭს და ცოდნას. ამ პიესაში ცდიან თავიანთ ღონეს მისთანა მოთამაშე ქალებიც-კი, როგორნიც არიან სარრა ბერნარი და ელეონორა დუზე.

რუსეთის ცხოვრება და საზოგადოება საკმაოდ დაშორებულია საფრანგეთისას. კიდეც იმაშია ღირსება ქ-ნის სავინისა, რომ ის, რუსის ქალი, იმოდენად დაუახლოვდა საფრანგეთის საზოგადოების ცხოვრებას, რომ შეიძლო მისგან ნაშობის ტიპის განხორციელება.

განსაკუთრებით კარგია ქ-ნი სავინისა მარგარიტას როლში, როდესაც ის დიდი წინაამღდეგობის შემდეგ, გულ-დათუთქვილი უთმობს მოხუცებულს მამას თავის საყვარელს არმან დიუვალს (III მოქმედება). ძალიან ძნელია ამ მომენტის ნამდვილად დახატვა. რამდენი ტანჯვა, განწირულება და შიში გამოიხატებოდა ქ-ნ სავინის სახეზე, როდესაც მან გარდასწყვიტა არმანის დათმობა! უნებლიედ ჟრუანტელი გაგივლიდათ ტანში, როდესაც მან გამოთხოვებისას არმანის მამას ნაზად, სიყვარულით მოეხვია და კოცნა სთხოვა. მშვენიერი იყო ქ-ნი სავინისა უკანასკნელს მოქმედებაში, როდესაც ის ჰლექიანი, დიდის ტანჯვის შემდეგ კვდება. ეგ მეხუთე მოქმედებაა უძნელესი მთელს პიესაში. მთელი პიესაც, მგონია, იმ საინტერესო პსიხოლოგიური მომენტისთვის არის დაწერილი, რომელიც მეხუთე მოქმედებაშია გამოყვანილი. მარგარიტას სიკვდილის წინა წამების და თვით მის სიკვდილის ნამდვილად წარმოდგენა იმოდენად ძნელია, რომ გამოჩენილი მოთამაშე ქალები ევროპაში მთელის წლობით აკვირდებიან მომაკვდავებს კლინიკებში და ცდილობენ მათი სახის გამომეტყველობა შეითვისონ. ფანტაზიით, წარმოდგენით ვერ მისწვდები ყველაფერს. ცოდნა და დაკვირვებაა საჭირო, რომ სურათი ნამდვილი გამოვიდეს. ქ-ნი სავინისა გამოცდილი მოთამაშეა, მასთან ნიჭი და ცოდნაც აქვს; კიდეც ამისთვის არის, რომ საზოგადოება ტაშ-ცებით ეგებება მას ყველგან და აჯილდოვებს მის შრომას.

ღმერთმა ქნას, რომ ჩვენი სცენის მოთამაშეებსაც მიებაძოს ამ ღირსეულ ქალისთვის და ფიქრთაგან არ გინეშორებიოს, რომ მოთამაშისთვის, გარდა ნიჭისა სახელის მოსახვეჭად, საჭიროა შრომა და მეცადინეობა. ჩვენ გვწამს, რომ მისთანა ნიჭიერი მოთამაშეები, როგორნიც არიან საფაროვისა, ნ. გაბუნია, ეფ. მესხი, ვ. აბაშიძე, ალექსეევი-მესხიშვილი, კ. ყიფიანი, კ. მესხი, გუნია და სხვ., თუ ნიჭს შრომასაც შეურთებენ და მასთან საზოგადოებაც სარბიელს გაუფართოვებს მათ, შეიძლებენ ღირსეულად ემსახურონ მშობლიო სცენას.

ორიგინალური პიესების უყვარგისობას სჩივის საზოგადოებაო. რა ვქნათ? თუ-კი ორიგინალური არ გვივარგა, ვსთარგმნოთ სხვა ენებიდამ, ან გადმოვაკეთოთ. მერწმუნეთ, არას წავაგებთ. განა რუსებს ბევრი ახალი ორიგინალური პიესები აქვთ? ბევრი აქვთ, მაგრამ ხეირიანი სულ ცოტა ურევია მათში. რუსები იმას რჩეობენ დღეს, რომ ან ისევ ოსტროვსკის პიესები უჩვენონ ხალხს, ან კარგი უცხო ენებიდგან გადმოღებული პიესები. კარგადაც შვრებიან...

ილ. პონტელი

„ჩასტნი პოვერენი უბედაძე“

(სურათი)

III

სამსჯავრო დარბაზი ხალხით აივსო. ყველამ ადგილები დაიჭირა გძელ სკამებზე და ზოგნიც ფეხზე იდგნენ უალაგობისაგამო. დარბაზში საშინლად ჩამოცხა. მსაჯულის მოლოდინში ხალხი მაინც თავისას არ იშლიდა და ეზოში დაწყებულს ბაასს აქ აბოლოვებდა.

დარბაზში შემოვიდა ვექილი ყბედაძე თავისის კლიენტით თედოთი და დაჯდა სავარძელზედ, რომელიც მოაჯირთან იდგა; თედო-კი მოაჯირს დაეყუდა ვექილის ზურგს.

ამავე ალაგას, მხოლოდ მარცხნივ, ასეთსავე სავარძელზედ იჯდა ვექილი თედოს მოპასუხესი—ასტფორიანცი. იმის სიახლოვეს, მოაჯირთან იდგა ბერუა ნინიაშვილი და დამცინავის ღიმილით შეჰყურებდა თავისს მტერ-მოყვარეს ბ იმის ვექილს, რომლის მომცრო ტანს უდარებდა თავის „ატუკანტი“-ს მსხვილ აგებულებას და წინადვე ოცნებით სტკბებოდა თედოს დამარცხებით და „თვალების დათხრით“. არც თედო უყურებდა ბერუას კეთილის თვალით. ადვოკატებმა-კი, როცა ერთმანეთი დაინახეს, ტუჩები აბზიკეს, თითქო მყრალს სუნსა ჰგრძნობენ ჰაერშიო და ერთმა მეორეს ზურგი მიუშვირა.

გამოვიდა მსაჯული,—ხალხმა ერთბაშად ყაყანი შესწყვიტა და ფეხზედ წამოდგა. ვექილებიც ადგნენ და, როდესაც მსაჯული მძიმედ ჩაეშვა ფართო სავარძელში,—ისინიც თავიანთ ადგილებზე დასხდნენ.

მსაჯულმა აიღო საქმეების გროვა და სინჯვა დაუწყო. პირველი საქმე თედოსი იყო.—საქმე თედო ბოჭორიშვილის და ბერუა ნინიაშვილისა—ღორის მოკვლის შესახებ—წაიკითხა რუსულად მსაჯულმა.

— თედო ბოჭორიშვილი, ბერუა ნინიაშვილი!.. დაიძახა სოსიკომ, რომელიც მსაჯულს ტარჯიმანად გამოჰყვა.

ამ ძახილზედ მსაჯულის წინ წარმოდგნენ თედო და ბერუა.

— კნიაზო, „სუდიას“ მოახსენე, შენი ჭირიმე, რომ ამ ჩემ მოქიშპეს მოწმები დაუქრთამავს... უთხრა სოსიკოს თედომ და თან სიძულილით შეხედა ბერუას.

— აგრემც ღმერთი გახეირებს!—შეჰყვირა გაცხარებით ბერუამ—მოწმები, შვილოსან, შენ დაგიქრთამავს, რომ არც ერთ მათგანს პირში ენა აღარა აქვს!..

— გაჩუმდით!..—შეუტია სოსიკომ:—ეგ საჭირო არ არის!.. „ადვოკატები“ გყავთ?

მოჩივარ-მოპასუხემ თავიანთ ვექილებზედ მიუთითეს. აქ ყბედაძე სწრაფად წამოხტა, რასაც, რასაკვირველია, აგებულება ნებას აძლევდა, მსაჯულის წინ მიიჭრა და მოწიწებით თავი დაუკრა შემდეგის სიტყვებით: „повѣренный истца“.

ასტფორიანმაც დააპირა წამოდგომა, ერთი წამოიწია კიდეც, მაგრამ უშველებელი მუცელი წინ გადმოუვარდა, ეს უუმძიმესი ტვირთი იმის ფეხებმა თითქო ვერ გაიმაგრეს, მოეშვნენ და ისევ ხვნეშით სავარძელ-

*) იხ. „ივერია“, № 124.

ძალადეველებს ნუ გამოვწირავთ. იმ ხალხმა თხოვნა მიართვეს ქალაქის გამგეობას, ამ თხოვნაში სწერდნენ, ან იჯარით მოგვეცით, ან მოგვყიდეთ ეგ მამულებიო, ქალაქის გამგეობამ ეს თხოვნა ნაძალადეველებისა არც-კი წარუდგინა საბჭოს, იმ მამულებს-კი გაყიდვას უპირებს, რომელზედაც დასახლებულა ღარიბ-ღატაკი ხალხი და რომელთა აყრაც და დაწიოკებაც დიდი უსამართლობა იქნებაო. ამ საგანმა დიდი ბაასი და კამათი გამოიწვია. დასასრულ კრებამ ხმის უმეტესობით დაადგინა უარვყოთ გამგეობის წინადადება და ნუ გავყიდით მამულებს, რადგან ისეც ქალაქს ცოტა მამულები აქვს დარჩენილიო.

ლაპარაკი ატიძრა იმის შესახებ, რომ სარევიზიო კომისიის მოხსენება აქამდე განხილული არა აქვს საბჭოს, თუმცა ეს მოხსენება კარგა ხანია დამზადებულია და გამგეობა ინახავსო. ქალაქის მოურავმა განაცხადა, რომ მაგ სარევიზიო კომისიასა და ახალ სარევიზიო კომისიას ერთად წარმოვუდგენთ საბჭოსაო. სარევიზიო კომისია უნდა იქმნას ამორჩეული სამის კაცისაგან და იმათ უნდა მიენდოთ 1890—92 წლების ანგარიშების განხილვაო, კრებამ საჭიროდ დაინახა, ექვსი კაცი ამორჩეულ იქმნას და შემდეგ ორ კომისიად განაწილდეს, ერთმა ნაწილმა 90, 91 და 92 წლების საქმეების რევიზიას მიჰყოს ხელი, ხოლო მეორემ—93 წლისას, თორემ საქმეთა რევიზია დიდად გვიანდებაო.

ამ დადგენილებისა თანახმად სარევიზიო კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ ხმის უმეტესობით: ბ-ნნი ბაბოვი, ი. ს. ალიხანოვი, შერშენკო, ბუტკევიჩი, ი. რ. ყორღანოვი, ი. ს. ბუღდანოვი და ტერ-ასატუროვი.

ამის შემდეგ საბჭომ დანარჩენ საქმეთა განხილვა და, სხვათა შორის, ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარისა და ერთის სათადარიგო დამფასებლის არჩევანი გადასდო შემდეგის კრებისათვის.

## კორესპონდენცია

**ბათუმი.** 1881 წლიდამ ბათუმში არსებობს ქართული წერა-კითხვის საზოგადოების სკოლა. თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ბათუმის ქართველ მცხოვრებლებისათვის ამ სკოლას, ეს ყველასათვის ცხადია. ეს ერთად-ერთი სკოლაა ქართული—ქართველთა საზოგადოების ხარჯზე დაფუძნებული შავი ზღვის ნაპირზედ. ამ სკოლაში სწავლობენ: გურულები, მეგრელები, იმერლები და მაჰმადის სარწმუნოების ქართველები, აქ ენერგებათ მათ გულში ძმობა და ერთობა. წერა-კითხვის საზოგადოება ყოველთვის ჰგრძნობს ბათუმის სკოლის დიდს მნიშვნელობას და ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ თითქმის ნახევარს თავის შემოსავალს ახმარებს ამ სკოლას. დიდი გავლენა აქვს სწავლის უკეთეს წარმატებაზედ სკოლის შენობას. კარგა ხანია საზოგადოების მმართველობა ზრუნავდა, როგორმე სკოლის ადგილი ეშოვნა და შესაფერი სახლი აეგო. ბათუმის საბჭომ დაუთმო წერა-კითხვის საზოგადოებას სასკოლო ადგილი 400 კვად. საჟენი და წარსულ წელს, როდესაც მმართველობის წევრი ბ-ნი ცხვედაძე სკოლის სარევიზიოდ იმყოფებოდა ბათუმში, აქაურმა ქართველობამ მოახდინა საზოგადო კრება და თავიანთ შორის ამოირჩია ხუთი მხნე ქართველი და ამათ დაავალა შესდგომოდნენ სკოლის სახლის აშენებას. როგორც გაზეთებშიაც იწერებოდენ შარშან, ამათ საქმის დიდი მუყაითობა გამოიჩინეს და ცოტა ხნის განმავლობაში მოკრიფეს ექვსას თუმნამდე ფული და ამ გაზაფხულზედ კიდეც დაიწყეს სკოლისათვის სრულიად შესაფერი სახლი. სკოლის შენობა შეიცავს ორ საკლასო ოთახს, ერთ მოზრდილ ზალას და ერთ საბიბლიოთეკო ოთახს. ყველა ამ ოთახების სიგრძე, სიგანე და სიმაღლე ისეთი იქნება, როგორსაც მოითხოვს სკოლის საჭიროება. ამას გარდა ცალკე სკოლის სახლის რამდენიმე საჟენის მოშორებით შენდება მასწავლებლისათვის სადგური, რომელიც შესდგება სამი ოთახის და სამზარეულოსაგან. აგრეთვე სკოლას აქვს ზომიერი კარმიდამო და გიმნასტიკის სავარჯიშოდ ამოხურული ადგილი. ერთის სიტყვით, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლას ბათუმში სექტემბრისთვის, თუ ქართველ საზოგადოებამ არ მოაკლო თავის მხურვალე თანაგრძნობა, მზად ექნება პედაგოგიურის მხრით სრულიად რიგიანი სახლი. ამისათვის დიდის მადლობის ღირსნი არიან როგორც წევრნი იმ კომისიისა, რომელთაც ქართველთა საზოგადოებამ მიანდო ეს ფრიად საჭირო საქმე, აგრეთვე ის პირნიც, რომელნიც ეწევიან კომისიას ანუ ფულით, ანუ მასალით.

ბათუმელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„Нов. Врем.“-ში დაბეჭდილია პატარა შენიშვნა ბ-ნ ფარესოვისა ასეთის სათაურით: „რა ბოლო ელით ჩვენს მწერლებს“.

სამოც-და ათ წლებშიო, სწერს იგი: ერთმა სიბირელმა მწერალმა ძალიან ჩქარა მოიხვეჭა სახელი თავისის პატარ-პატარა წერილებით. ამ წერილებში იგი ასურათებდა გლეხთა ცხოვრებას და იმ მძლავრს ძალას, რომელიც სთრგუნავს ნიჭიერს ხალხს სოფლისას. ამ წიგნმა გამოსვლისათანავე სახელი გაითქვა და ძლიერ ჩქარაც გავრცელდა ხალხში. ავტორი ამ თხზულებისა დიდხანს ჰმუშაობდა რუსეთის ჟურნალებში და ყოველთვის ერის სიკეთისათვის იღვწოდა. მაგრამ გავიდა დრო და ხანი და სნეულებამ იქამდის მიაღწევინა ამ მუშაკს, რომ ეხლა კალმის აღებაც აღარ შეუძლიან. დამბლად ჩავარდნილს ყოველი ღონე მოესპო, თავისის ცოლითა და ხუთის შვილით თითქმის ულუკმოდ არის დარჩენილი. ავადმყოფი მწერალი ეხლა თავის ძმის სახლში სდგას და ეს გარემოება უცხოს თვალს უბამს და ჰფარავს ამ ოჯახის გაჭირვებას. ის მცირე შემწეობა, რომელიც ეძლევა სალიტერატურო ფონდისაგან, ძალიან ცოტა შეღავათს აძლევს მის მდგომარეობას. საცოდავ კაცს სხვა უბედურებასთან ეხლახან კიდევ ერთი უბედურება დაატყდა, რომელიც აშკარად ჰმოწმობს იმის უკიდურესს სიღატაკეს. მწერალის ცოლს, უკვე ხანში შესულს, გაევლო შეშის საწყობისაკენ და ორი ნაჭერი შეშა აეღო, რისთვისაც იქვე შეშის მცველს და პოლიციელს დაეჭირათ.

— მე ყოველთვის ვკრეფდი ხოლმე აქ ნაფოტებს, მაგრამ არავის დაუჭერივარო, იმართლებდა თავს საწყალი მოხუცი და თან მდუღარება გადმოსდიოდა. აი გამომართვი ეს უკანასკნელი მანეთი და ღვთის გულისათვის თავი დამანებე! აბა რა დაგიშავე? ემუდარებოდა საცოდავი.

ამ ამბავზედ მრავალი ხალხი შეგროვდა და მოვიდა პოლიციელიც, რომელმაც პოლიციაში წაიყვანა დედაკაცი ქურდობისათვის. მომრიგებელმა მოსამართლემ საბრალო დედაკაცი დამნაშავედ იცნო. იმასთან-კი ვის რა დავა აქვს, რომ ამ საცოდავს დედაკაცს ავადმყოფი ქმარი ჰყავს, დამბლად ჩავარდნილი, და რამდენიმე შვილი, რომ იგი გაჭირვებამ და არა ქურდობამ მიიყვანა ციხემდე, სადაც თვე ნახევარს უნდა იყოს დაპატიმრებული, სალატერატურო ფონდის წევრთა შორის არიან ძალიან კარგი იურისტებიც და მეტი არ იქნებოდა, რომ მათ ეკისრათ ამ უბედური დედაკაცის საქმეო.

შემდეგ ავტორი ამ შენიშვნისა მკითხველთ ყურადღებას მიაქცევს მეორე მწერალის ბედს.

ეს მწერალი არის მონაზონი ელ. შ—სა, რომელიც ღირსია ყურადღება მიაქციონ მის 80 წლის ხანს და საშინელს მდგომარეობას მონასტერშიო. ამ ქალის შესახებ განსვენებული გროტი 10 იანვარს, 1892 წლისას აი რასა სწერდა თურმე კერძო წერილში: „18 წ.შ—ის ყმაწვილმა ქალმა გამოსცა კრებული თავის ლექსებისა, რომელმაც საერთო ყურადღება დაიმსახურა და სხვათა შორის ახალგაზდა ავტორმა საჩუქარი მიიღო რუსეთის აკადემიისაგან. ეს ამბავი აღნიშნულია ამ დაწესებულების ისტორიაში, მ. ი. სუხომლინოვისაგან. პ. ა. პლეტნევმა, რომელსაც გაეცნო ეს ნიჭიერი ქალი, წამიყვანა მასთან. ეხლახან მივიღე იმ ქალისაგან წერილი, რომელშიაც იგი გამახსენებს ზემოხსენებულს ამბავს. ამავე წერილიდგან შევიტყე, რომ, მას შემდეგ, რაც ეს ქალი მონოზნად შესდგა, სხვა-და-სხვა ჟურნალებში სწერდა ან თავის სახელით ან ფსევდონიმით. ეს ნიჭიერი ქალი, ერთის რომანის შემდეგ, ჯერ ისევ ყმაწვილი, მონასტერში შევიდა, ისევე მოიქცა. როგორც ტურგენევის გმირი ქალი ლიზა, და აქ, მონასტერში დაბერდა. ეხლა თითქმის უსინნათლოა და რადგან მონასტერში შრომა სავალდებულოა, რასაკვირველია, დიდად გაჭირვებულს მდგომარეობაშია. უეჭველია 100 მან. რომ შეეწიოს სალიტერატურო ფონდი, მოხუცს ქალს თავიდგან ასცდებოდა შეშისა და წყალის ზიდვა და სხვა ამგვარი მძიმე სამუშაო.

დასასრულ, ავტორი ამბობს, რომ დიდი უსამართლობაა და უდიერობა, რომ ჩვენს ნიჭიერს მწერლებს ასე ვეკიდებით და ამ საგანს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს იმათგან, რომელნიც აფასებენ ლიტერატურას და ესმით მისი მნიშვნელობაო.

## უცხოეთი

**იტალია.** გაზეთებში დაწვრილებით არის მოთხრობილი ის ამბავი, რომელიც კრისპის შეემთხვა ამას წინად. მთავარ-მინისტრი და მისი კანცელარიის უფროსი პინელლი თავდახურულის ეტლით მიდიოდნენ პარლამენტში. უცებ მივარდა ეტლს ვიღაც ყმაწვილი კაცი და ესროლა რევოლვერი კრისპის. ტყვიამ ცხვირწინ გაუარა მინისტრს და არ მოხვ-

ზედ დაეშო; ამასთანავე სავარძელმაც საშინელი ჭახი-ჭუხი ასტეხა. ბოლოს-კი ამ სქელმა არსებამ, რა იგრძნო თავისკენ მიქცეული ბერუას შიშით სავსე თვალები, გამძვინვარებით გაიტორტმანა, სავარძელი საბრალოდ აჩხავლ-აატირა და დიდის ქშენა-ფშვენით წამოდგა ფეხზედ, ქლოშინით მიუახლოვდა მსაჯულის მაგიდას და დაჯღანილის რუსულით აუწყა, რომ იგი ბერუა ნინიაშვილის ვექილი იყო.

მსაჯულს არაფრად ეჭაშნიკა ამ „ადვოკატების“ დანახვა და ეს უსიამოვნო გრძნობა ტუჩების აბზეკით გამოჰხატა. შემდეგ თავის მოვალეობისს დაკვალად, მიჰმართა კითხვით:

— მხარენი არ მოისურვებენ შერიგებას?

ვექილებმა მსაჯული დაარწმუნეს, რომ იმათ უკვე ყოველი ღონისძიება სცადეს, რათა მოჩივარ-მოპასუხე მოერიგებინათ, მაგრამ ყოველმა ცდამ ამაოდ ჩაიარაო.

ამის შემდეგ მსაჯულმა მოწმებს დაუწყო გამოკითხვა. ჯერ მოჩივარის მოწმებს ჰკითხეს. იმათ, თანახმად ყბედაძის დარიგებისა, აჩვენეს, რომ თედოს ღორი ბერუამ იმ დროს მოკლა, როდესაც ღორი სხვა კაცის ნათესში იყო და არა ბერუასაშიო. ზედაც დაურთეს მოკლული ღორის ფასი და სთქვეს, იგი 50—60 მან. ეღირებოდაო. ყველამ ერთგვარად აჩვენა, ხმა შეწყობილად; თითქმის ერთისა და იმავე სიტყვებით აუწყებდნენ მსაჯულს საქმის ვითარებას. მხოლოდ ასეთი ერთ-ფეროვანი ჩვენება, რომელსაც წინათვე გაზეპირებულის იერი ჰქონდა და რომელიც, უეჭველია, მსაჯულის ეჭვს გამოიწვევდა, სულ სხვანაირად იცვლებოდა სოსიკოს გადაცემის დროს. მართალია, მოწმების ჩვენების აზრი დაცული იყო, მხოლოდ ის ერთგვარობა-კი სულ აღარ ეტყობოდა და, პირველ შეხედვით, ერთი ჩვენება თითქოს არც-კი ჰგავდა მეორეს. სოსიკომ დაატყო, რომ მოწმები მეტის-მეტად ცდილან ჩვენების შეთანხმებასაო და ამის გამო თითონ იმან იტვირთა ამ შეცდომის გასწორება.

როდესაც მსაჯულმა ჰკითხა, აქაური ღორი განა 50 მან. ეღირებაო?— მოწმება მოახსენეს, რომ მოკლული ღორი „რუსული“ ჯიშისა იყოვო.

მოპასუხის მოწმებმა-კი აჩვენეს, რომ ღორი სულ ექვსი მანეთი ეღირებოდაო, ისიც არაო; ბერუამ იგი თავის ნათესში მოჰკლაო, მოთმინებიდგან იყო გამოსული, რადგანაც იმ ღორს არა ერთხელ წაუხდენია მოპასუხის ნათესი და მოჩივარი-კი არ იმაგრებდა პირუტყვსაო.

ამ რიგად მოწმენი ორად გაიყვნენ და იმას, რასაც ერთი ნაწილი ამტკიცებდა, მეორე—უარ-ჰყოფდა.

სასაცილო სანახავნი იყვნენ ბერუა და თედო, როცა მოწმეებს ჩვენებას ართმევდნენ. მაშინ, როცა ერთ-ერთი მათგანი, ჩვენებით კმაყოფილი, მოწმის სიტყვებს კვერს უკრავდა თავის კანტურითა და სიტყვებით: „აი მართალი კაცი“, ან „ღმერთმა აგაშენოს მართლის თქმისათვისაო“, მეორე გააფთრებული იძახოდა: „ისე სწორედ იარე, როგორც შენ მართალს ამბობ“-ო, ან „ღმერთმა მაგის მეტი სიმართლე ნუ მოგცესო“ და სხვ.

ორჯელ თუ სამჯერ დაემუქრა მსაჯული, თუ არ გაჩუმდებით, გარეთ გაგრეკთო, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიდნენ.

მოწმების შემდეგ ჯერი ვექილებზედ მიდგა.

წამოდგა ყბედაძე, მივიდა მსაჯულის მაგიდასთან, ცალის იდაყვით მოაჯირს დაებჯინა, ხმის გასაწმენდად ერთი ჩაახველა, მერე მედიდურად მიავლ-მოავლო დარბაზს თვალნი, ერთხანს შეაჩერა თავისს მოპირდაპირეს, რომელსაც თავი მუცელზედ დაედო და ძილში ტკბილად ჰფშვინავდა; ამ გარემოებამ ყბედაძეს ღიმილი მოჰგვარა ტუჩებზე; თვალებით ანიშნა თედოს ასტფორიანცი და კმაყოფილად დაიწყო;

— ბ-ნო მსაჯულო! ვიდრე შეუდგებოდე საქმის ვითარების განხილვას, მე უნდა გადმოგცეთ ის სულიერი მდგომარეობა, რომელშიაც ჩაავგდო ჩემი კლიენტი....—აქ უცბად ყბედაძემ ლაპარაკი შესწყვიტა, რადგანაც შემდეგი შესაფერი სიტყვა ვერ მოეგონებინა და კარგა ხანს უგემურად ჰღეჭავდა ხან ერთსა და ხან მეორე შეუსაბამო სიტყვას და თანაც ჰფიქრობდა: „ნეტავი რამ ჩაავგდო“ო, ბოლოს როგორც იყო განაგრძო...—რომელმაც ჩემი კლიენტი ა... ა... მ... მ...ამ... მ... რომელმაც ჩემი კლიენტი ჩააგდო... ამ... სოფელთან... უბედური ღორის გამოსალმებამ.—ყბედაძემ ეს წინადადება აღტაცებით დაამთავრა რადგანაც უკანასკნელი ნაწილი წინადადებისა თითონ იმას ძალიან მოეწონა.

ამ სიტყვებზედ მსაჯულმა გაკვირების ნიშნად მხრები აიწია და შემდეგ გაღებული ფანჯრიდამ ყურება დაუწყო ლამაზ ხეობას, რომელიც ხელის გულსავით წინ ჰქონდა გადაშლილი მშვენიერ სურათად, მზის ბრწყინვალე სხივებით განათებული.

— ხომ შეგიძლიანთ, ბ-ნო მსაჯულო, წარმოიდგინოთ უბედური მშობელი, რომელსაც თავისი პირმშო დაუკარგავს... და... თუ წარმოიდგენთ ამ საზარელს სურათს, თქვენი კეთილი გული, უეჭველია, სიბრალულით აღივსება იმ საცოდავ არსებისა მიმართ—სწორედ ამისთანავე მდგომარეობაშია ჩემი კლიენტიც. მართალია, იმას შვილი არ დაუკარგავს, არამედ საყვარელი პირუტყვი, მაგრამ, ბ-ნო მსაჯულო, მხედველობაში უნდა მიიღოთ ის სარგებლობა და, ამასთანავე, ის ამაგი, რომელ...

ბატონო ვექილო!—გააწყვეტინა სიტყვა მსაჯულმა, რომელსაც მოთმინების ფიალა აევსო ამ უაზრო ფრაზების მოსმენით. თქვენ რაც გნებავთ ის წარმოიდგინეთ და მე-კი, გთხოვთ, განმანთავისუფლოთ მაგგვარის სურათების აწერილობისაგან!.. ან რა საჭიროა, ერთი მითხარით, ასეთი უსაგნო სიტყვის რახა-რუხი? ხომ არ გინდათ მაგ იაფ ფასიანის მჭევრ-მეტყველებით გამაკვირვოთ, ან მომხიბლოთ?!

— ეს, ბატონო, მოსამართლევ, ჩვეულებრივი შესავალი გახლავთ გასამართლებელი სიტყვისა... უპასუხა ყბედაძემ გაუბედავად.

— შესავალია თუ დასასრული, სულ ერთია... ეს პირველი არ არის თქვენგან... ან როგორ გეკადრებათ თქვენ, „კერძო ვექილს“, ამ გვარ უბრალო საქმეების გამო არზების წერა და ხალხის ერთმანეთზე გადაკიდება... ეუბნებოდა ყვედრებით მსაჯული ყბედაძეს, რომელიც, ცოტა არ იყოს, დარცხვენილი იდგა და გაშტერებით დასჩერებოდა თავის წაღის გამწვეტებულ წვერს.

— მე სრული თანახმა ვარ ბატონის მსაჯულისა!..—მოისმა ხმა და გაჰკვირებული ქოშინი, თითქოს იღრჩობაო, ასტფორიანცისა, რომელსაც ის იყო ძილი დაუფრთხო თედომ, მსაჯულისა და ყბედაძის ლაპარაკით ინტერესს აღძრულმა. ასტფორიანცს ძალიან იამა მსაჯულისაგან ყბედაძის მხილება და ამიტომ დასტალური დაუკრა მსაჯულის აზრს.

ი. ელეფთერიძე.

(დასასრული იქმნება)

და-კი. ყმაწვილი კაცი შეიპყრეს და წაართვეს რევოლვერი მას შემდეგ, როცა ეტლს მეორე მხრიდამ მოუარა და მეორე დამბაჩა ამოიღო სახროლად. მეეტლემ ეტლი შეაყენა და დაუწყო შოლტით ცემა ბოროტ-მოქმედს. მოსამსახურე გადმოხტა ეტლიდამ და შეებრძოლა იმ ახალგაზრდა კაცს. პატარა ხნის უკან კრისპიმ გულ-დამშვიდებით უბრძანა მეეტლეს წასულიყო პალატისაკენ. ხალხი მრავლად მოგროვდა და ტაშის კვრით მიეგება მთავარ-მინისტრს ასეთის ვაჟკაცობისა და მშვიდობით გადარჩენისათვის. ხალხმა თვითონ მოინდომა გასამართლება დამნაშავესი და დაუწყო ცემა. პოლიციამ ძლივს გააგდებინა ხალხს ხელიდამ ის უბედური. დამნაშავე აღმოჩნდა ვიღაც პაოლ ლეგა ლუგოელი (რომანიიდამ) 25 წლისა, ხელობით დურგალი. მეტ სახელად ეძახიან თურმე მარატსა. ლეგამა სთქვა, რომ დღეს დილით მოვედი რომს და კრისპი მინდოდა მომეკლაო. ძალიან ვსწუხვარ, რომ ჩემი განზრახვა ვერ შევასრულეო. ანარქისტი ვარ და თავი მომიმწონს ანარქიზმის მოძღვრების მიმდევრობითაო. ტაშის კვრითა და ვაშას ძახილით მიაცილა ხალხმა კრისპი პარლამენტამდე. დეპუტატებმა გულწრფელად მიულოცეს კრისპის მშვიდობითა და უვნებლად გადარჩენა. პრეზიდენტმა პალატისამ ზიზღით მოიხსენია ავაზაკობის ჩამდენი და სთქვა, რომ სასურველია, დიდხანს სცოცხლობდეს კრისპი თავის სამშობლოსათვისო. ამ სიტყვებს დიდის ამბით მიეგება მთლად პალატა და ტრიბუნა. კრისპიმ ათრთოლებულის ხმით მადლობა გადუხადა მანიფესტაციისათვის, რომელიც ჩემს დღეში არ დამავიწყდებაო. მინისტრმა დასძინა ამას, რომ ვერც მუქარა, ვერც სურვილი ჩემის შეურაცხყოფისა ხელს ვერ ამაღებინებს ჩემის მოვალეობის აღსრულებაზეო. მთელი ქალაქი ფეხზედ დააყენა ამ ამბავმა. მეფემ თავისი უფროსი გენერალ-ადიუტანტი გაუგზავნა კრისპის და მიულოცა მშვიდობით გადარჩენა. სენატსა და მუნიციპალიტეტის კომისიებმაც ასევე მიულოცეს. მრავალი დეპეშები მიუვიდა მილოცვისა. საღამოზედ მეფე და მემკვიდრე პრინცმა ჰნახეს კრისპი და გულით გადაჰკოცნეს. მეფემ უთხრა: რაც მწუხარებას შენ გაყენებენ, ეგ იმისი დასამტკიცებელი საბუთია, რომ ერთგული ხარ სახელმწიფო დაწესებულებათაო. ისე მეწყინა ეგ ამბავი, რომ მეგონა, ვითომ ჩემის ოჯახის წევრისათვის მოუნდომებიათ მოკვლა მეთქი. ხალხი დიდის ამბით მიეგება მეფესა და მემკვიდრე პრინცს კრისპის სახლიდამ გამოსვლის შემდეგ. ყველა გაზეთებმა გაჰკიცხეს საქციელი ბოროტ-მომქმედისა. საღამოზედ კრისპის სახლის წინ მის პატივსაცემლად გამართული იქმნა დემონსტრაცია.

—

**ბოლგარია.** როგორც შეუტყვია „Agence Balcanique“-ს, დიდის თანაგრძნობით ეგებებიან პრინცს ფერდინანდსა და იმის მეუღლეს ყველგან მოგზაურობაში. ერი მრავლად იკრიბება ყველგან, საცა-კი მატარებელი ჩერდება, ეგებება გულითა და სულით მთავარს და მადლობას უცხადებს სტამბულოვის გადაყენებისათვის სამსახურიდამ. უფრო ცხადად გამოჩნდა ასეთი კარგი დახვედრა ესკი-ზარგსა და ყაზანლიკში, საცა პრინცმა და მისმა მეუღლემ უფრო დიდხანს დაჰყვეს. ამინდი კარგი სდგას და ხელს უწყობს მთავარის მოგზაურობას.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

შარშან დიდი ლაპარაკი ასტეხა ამერიკის ერთს ქალაქში, სახელდობრ ფილადელფიაში, ერთის ველოსიპედით გატაცებულის კაცის ქორწილმა. მეფეცა, დედოფალიც, მაყრებიცა და სტუმარნიც ყველანი ველოსიპედებით იყვნენ. ამასთანავე ქორწილი განუზრახავთ პეტერბურგშიაც. ჯვარს იწერს იქ თურმე წარმომადგენელი ერთის სავაჭრო სახლისა, რომელიც ველოსიპედებსა ჰყიდის. სამეფოცა და სადედოფლოც ეკკლესიაში ველოსიპედით მივლენ; თან ახლდებათ მრავალი ველოსიპედების მოხმრე მამაკაცნი და დედაკაცნი. ყველა ეს ფოლადის ცხენები დართულნი იქმნებიან და დაკაზმულნი ყვავილებითა და ლენტებით. ჯვარის წერის შემდეგ ქალაქ გარედ რესტორანში ისაუზმებენ ქორწილში დამსწრენი და მას უკან ახალი მეფე-დედოფალი წავლენ ველოსიპედებით სამოგზაუროდ ფინლიანდიაში. ამერიკელებსაც აღარა ჩაუდენიათ-რა სწორედ ამაზედ ახირებული!

—

ამას წინად იმპერატორ ვილჰელმის წინაშე წარსდგნენ აფიცრები და ჯარის კაცნი, რომელნიც უნდა წასულიყვნენ გერმანიის სამხრეთ დასავლეთ სამფლობელოებში იქაურ საკოლონიო ჯარების რიცხვის შესავსებლად. იმპერატორმა მიჰმართა ამათ სიტყვით და უთხრა: არ დაივიწყოთ რომ შავკანიანებიც ისეთივე კაცები არიან, როგორც თქვენ და იმათაც ისევე უყვართ თავიანთი თავი და სახელი, როგორც თქვენა. ამიტომ შავკანიანებს უნდა მშვიდად მოექცეთ და არავითარი ძალადობა არ უნდა იკადროთ მათ შესახებო. მეტი არ არის ასეთი სიტყვები ჯარის კაცთათვის იმ ოინების შემდეგ, რომელიც ჩაიდინა კამერუნში ვიღაც „კანცლერმა“ ლეისტმა.

—

ზვერსა ლაპარაკობენ დასავლეთ ევროპაში იმ ენციკლიკის შესახებ, რომელსაც თურმე ამზადებს პაპი. ამ ენციკლიკაში პაპი აპირობს თურმე გამოაცხადოს, რომ პაპობა არც ბერძნების დაწესებულებაა, არც ლათინებისა, არამედ მსოფლიო დაწესებულებაა და ამიტომ ყველა საქრისტიანო ეკკლესიები უნდა შეურთდნენ და ერთ ეკკლესიად გადაიქცნენო.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ჩემდა რწმუნებულ მუსხის სკოლის წიგნთ საცავს გამოუგზავნა ბლაგ. დეკ. მ. დ. ხახუტაშვილმა შემდეგი წიგნები: „დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე“ 1 ეგ., ქართული ძველი სასულიერო მწერლობა „გვირგვინი“ თავი პირველი 1 ეგ; „მმა მმის მტერი“—1 ეგზ., „მეგლის დება მეფე გიოგრი ბრწყინვალესი“ -ურბნელისა—1 ეგზ., ანგარიში „ქართველთა შორის წერა-კითხ. გამავრც. საზოგად“ 1 სეკდ. 1892 1 სეკდ. 1893 წ.—1 ეგზ., „დედამიწის მოყვანილობა“ (ამ წიგნს ფურცლები დასაწყისიდგანაც აკლია და ბოლოდგანაც)—1 ეგზ., თხზულებანი თ. რ. ერისთავისა 1., „სიკვდილი მართლისა“—გამოც. ღამბაშიძისა—1 ეგზ., «ქართული ზმნები»—ხუნდაძისა 1 ეგზ., საქრისტიანო პირველ სასწავლო მოძღვრება—ნ. ტფილელისა 1 ეგზ., „ცვარი“ სამაწვილო წიგნი—შ. მღვიმელისა 1 ეგზ., ძველი მწერლობა, დაწერილი 1197 წ.—„ქართველი კლასიკები“—ჩახრუხაძისა—1 ეგზ., სიტყვანი და მოძღვრებანი, თქმულნი საქართველოს ეგზარხოსის პავლეს მიერ—1 ეგზ., სიტყვანი და მოძღვრებანი თქმულნი ამბროსი ნეკრესელ ეპისკოპოსისაგან 1 ეგზ.; უმაღლესად დამტკიცებული წესდება სამრეკლო სამზრუნველოებისა 1 ეგზ., „საქართვ. კალენდარი“ 1888 წ. 1 ეგზ., იგივე 1889 წლისა—1 ეგზ., იგივე 1890 წ. 1 ეგზ., იგივე 1891 წ.—1 ეგზ.,

ახალქალაქის მაზრის, ზარალეთის ეკკლესიის მღვდლის მამა გრიგოლ ჯინჭველაძისაგან მივიღეთ შემდეგი წიგნები: „ანდრია პირველწოდებული“ აკაკისა 1 ეგზ., „ქართული ანდაზები“ 1 ეგზ., „მიბაძვა ქრისტესი“ 1 ეგზ., „მამიდა ასმათი“—წერეთლისა 1 ეგზ., „გიორგი ბრწყინვალე“—ურბნელისა 1 ეგზ., „ქალების განათლება“—ტარასოვისა 1 ეგზ., „მწირი“ ლერმონტოვისა 1 ეგზ., „დედაშვილის თავ-გადასავალი“ 1 ეგზ., „რობინზონ კრუზო“ 1 ეგზ., „სოფლის კუნწულა“—დ. მაჩხანელისა 1 ეგზ., „ცა და დედამიწა“—ივანოვისა 1 ეგზ., „სადმთო ისტორია“—მღვდ. ტურიევისა 1 ეგზ.

ზემოხსენებულ შემომწირველთ უგულითადესს მადლობას მოვახსენებთ.

მუსხის სასწავლ. მასწავლებელი
ვ. კოპტონაშვილი.

## დეპეშა

14 ივნისი

**ლიონი.** კარნოს მკვლელი მილანის მხარიდან არის. ჯერ არ გატეხილა. განაცხადა, რომ სამსჯავროს წინაშე ილაპარაკებს. ხალხი თან-და-თან ღელდება. იტალიელთ, და იმათ ვისაც იტალიელთ, ამსგავსებენ ხალხი ქუჩებში სდევნის.

ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ მკვლელი საპატიმროში დაამწყვდიეს საპატიმროს ირგვლივ ხალხია, რომელიც თხოულობს, რომ დამნაშავე ახლავე იქნება მოკლულ. ჭრილობისა პრეზიდენტისა ღრმაა—8 სანტიმეტრი. არქიეპისკოპოსმა აზიარა მომაკვდავი. კარნო კარგად გრძნობდა თავის მდგომარეობას; მან ორჯელ სთქვა: „მე ვკვდები მკვლელი შაბათს სეტში იყო, მეპურე, ვიალთან რომელთანაც 8 თვე იმსახურა. შაბათს პატრონმა მისცა 80 ფრანკი. წასვლის დროს ჩეზარიომ უთხრა პატრონს, ის მიდის იქ, სადაც მიიწვევს მას გარემოება. შაბათს საღამოს გამოსულა სეტიდან, სადაც ცნობილი ყოფილა, როგორც მომქმედი ანარხისტი. ხანჯალი უყიდია მკვლელს პარასკევს“.

### პეტერბურგის ბირჟა, 10 ივნისი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,48 | 7,51 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 149 1/4 | 150 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 249 3/4 |
| —მეორისა . . . . | 225 1/2 | — „ | — „ |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | 191 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — „ | 101 7/8 | — „ |
| 5% . . . . . | — „ | 101 1/2 | — „ |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — „ | 101 1/2 | — „ |
| 5%. . . . . . | 100 1/2 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99 3/4 | — „ | — „ |

## „ივერიის“ ფოსტა

—

**ფოთი ვ. ყ—ანს.** სულ ყველა სია შესაწევრისა რომ დავბეჭდოთ, რამდენიც გაზეთს მოსდის, დღეში გაზეთი, ორი გვერდი დასჭირდებოდა. ხშირად ისეთი გრძელი ნუსხა მოგვდის შემომწირველთა გვარებისა, რომელთაც თითო და ოროლი შაური შეუწირავთ რომელისამე საქველ-მოქმედო საქმისათვის, რომ ყოვლად შეუძლებელია გაზეთმა ადგილი დაუთმოს, რასაკვირველია, მარტო მისის სიდიდისა გამო და არა იმ მიზეზით, რომ წვრილმანი შეწირულებააო, როგორც თქვენა გგონიათ. რაც შეეხება მიწერ-მოწერას, რედაქციას უკვე გამოცხადებული აქვს, რომ არავისთან არავითარს მიწერ-მოწერას არა ჰმართავს გაზეთში დასაბეჭდად წერილების შესახებ.


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ф. პროტასევიჩი,—11 1/2—12 1/2 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12 1/2—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1 1/2 საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათამდის.

მ. ი. ფრანცუსი, 7—7 1/2 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---

ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით, პირველ იანვრიდამ იძლევა ქირით სარდაფი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. მსურველს შეუძლიან ფასი ჰკითხონ „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს.

(10—5)

---

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—167)

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . . | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |


Дозволено цензурою Тифлисъ, 14-го Іюня 1894 г.   სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.   რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.